

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №520

2015 წლის 7 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების 1¹³ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹⁴ მუხლი:

„**მუხლი 1¹⁴.** „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-100 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან პირი თავისუფლდება მის მიერ შემოტანილ საქონელზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განკარგვის ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

